თანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი „12“ მარტი, 2019

მხარეები:

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოადგენს რექტორი, ვალენტინა საყვარელიძე;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, შოთა რეხვიაშვილი, (შემდგომში რწმუნებულის ადმინისტრაცია)

თანამედროვე პროფესიული მომზადებისა და ცოდნის მქონე სპეციალისტების აღზრდა-განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით და შესაბამის ღირებულებებზე აღმოცენებული უმაღლესი სასწავლებლის არსებობით, შესაბამისი პროგრამული, მატერიალური და მორალური ხელშეწყობის უზრუნველყოფით;

გაერთიანებულნი იდეით, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ იგი სხვადასხვა კერძო - საჯარო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება;

იმის აღიარებით, რომ თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია;

მხარეები ხელს აწერენ მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განვრცობის მიზნით, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს:

- უნივერსიტეტსა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის ურთიერთთანამშრომლობას რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, წარმოჩენისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით;
- უნივერსიტეტსა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის ურთიერთთანამშრომლობას ქვემო ქართლის რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარებაში უნივერსიტეტის ინტელექტუალური რესურსისა და შესაძლებლობების ჩართულობის მიზნით.
- ადმინისტრაცია ჩაერთვება უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სასწალო წლის სტუდენტების პროფესიულ (საწარმოო) პრაქტიკაზე მიღებას, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაში მონაწილეობის მიღებას, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ვადითა და წესით;
- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობით რეალიზებად პროექტებში, მათ შორის სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, უნივერსიტეტის სტუდენტთა შერჩევასა და მათ ჩართვას;

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომელიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ. თუ თანამშრომლობის პროცესში ასეთი სახის ურთიერთვალდებულებები წარმოიშვა, მასზე უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ შეწყვეტის მომენტამდე.

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ მემორანდუმი ხელს შეუწყობს ურთიერთანამშრომლობის სფეროში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების დაცვასა და გაუმჯობესებას.

ვალენტინა საყვარელიძე შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი მის.: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ №31 ტელ: (+995 32) 2 54 59 08 ელ–ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge ვებ–გვერდი: thu.edu.ge	შოთა რეხვიაშვილი ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია მის.: ქ.რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზირი N29ბ